

ბრძანება

15 სექტემბერი 2017 წ.

თბილისი

№ 550/03

„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 30 აგვისტოს №518/03“ ბრძანებაში შეცდომის გასწორების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის და რექტორის 2017 წლის 30 აგვისტოს №518/03 ბრძანებაში შეცდომის გასწორების მიზნით,

ვბრძანებ:

I. „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გაგლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ“ რექტორის 2017 წლის 30 აგვისტოს №518/03 ბრძანების III პუნქტში გასწორდეს შეცდომა და მედიცინის ფაკულტეტის რუსულენოვანი პროგრამის ნაცვლად მიეთითოს სტომატოლოგიის ფაკულტეტის რუსულენოვანი პროგრამა და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:


„III. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის რუსულენოვანი პროგრამაზე ჩარიცხულ იქნეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე- ნარმინ ჰასანლი.“

II. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

III. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს რ. ბერიაშვილს, სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს ს. მღებრიშვილს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს დ. დელიბაშვილს, საზოგადოებასთან ურთიერთობის

სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიამიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

IV. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.



პროფესორი რიმა ბერიაშვილი

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი